წითელა: ზოგადი პრაქტიკის მართვის სახელმძღვანელო

შესაძლო/ საეჭვო წითელა?

მინიმუმამდე შეამცირეთ სამედიცინო დაწესებულებაში დაავადების გადაცემის რისკი

- წითელა ძალიან მაღალი კონტაგიოზობის მქონე დაავადებაა, გადაცემის აეროგენული მექანიზმით.
- შესაძლო/საეჭვო შემთხვევები, შეძლებისდაგვარად, გასინჯეთ ბინაზე ვიზიტით.
- შესაძლო/საეჭვო შემთხვევა მოარიდეთ საერთო მოსაცდელს (გამოიყენეთ სხვა შესასვლელი).
- კონსულტაცია გაუწიეთ ისეთ ოთახში, რომელიც თავისუფალი იქნება მომდევნო 30 წუთის განმავლობაში.

თანხვედრაშია თუ არა შემთხვევა წითელას კლინიკური შემთხვევის განმარტებასთან?

დაავადება ორივე ქვემოთ ჩამოთვლილით:

- გენერალიზებული წარმოშობის მაკულო-პაპულოზური გამონაყარით (რომელიც გრძელდება 3 ან მეტი დღე)
- ცხელება (დაახლოებით 38^{0}C) გამონაყარის დაწყების დროს.

და მინიმუმ ერთით:

- ხველა ან რინიტი, ან კონიუქტივიტი, ან კოპლიკის ლაქები

არა

- მართე, როგორც კლინიკური ჩვენება
- დიფერენციალური დიაგნოზი: გაითვალისწინეთ წითურა, ადამიანის პარვოვირუსი B19, ენტეროვირუსი, აივ ინფექცია, ადენოვირუსი ან არბოვირუსული ინფექცია, ჩვილთა როზეოლა, ქუნთრუშა, მედიკამენტოზური რეაქცია, კავასაკის დაავადება.

დიახ

შეტყობინება სასწრაფოდ

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ტერიტორიულ მუნიციპალურ ცენტრს (სჯც) ან დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს (დკსჯეც)

ლაბორატორიული ტესტირება

- ხელი შეუწყეთ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს, ადექვატური სინჯების* შეგროვებაში

შენიშვნა: სეროლოგიური კვლევისთვის სისხლის ნიმუშის აღება ხდება გამონაყარის დაწყებიდან 4-28 დღის შუალედში.

*სასურველი ნიმუშების შესახებ კონსულტაცია გაიარეთ სჯც-სა და დკსჯეც-ს სპეციალისტებთან

შემთხვევების მართვა

- დაუყოვნებლივ მოახდინეთ შემთხვევის იზოლირება
- დაითხოვეთ ბაღიდან / სკოლიდან / სამუშაო ადგილიდან გამონაყარის დაწყებიდან სულ მცირე 4 დღის განმავლობაში.
- უზრუნველყავით მხარდამჭერი და გართულებების მკურნალობა.

წითელას ლაბორატორიული ტესტირების დადებითი პასუხი?

არა

დიახ

შემთხვევის მართვისა და იზოლაციის საჭიროების გადახედვა

იმუნიზაცია

შეამოწმეთ სხვა პაციენტებისა და პერსონალის წითელას ვაქცინაციის სტატუსი

იმუნიზაციის მოდული

http://ehealth.moh.gov.ge/Hmis/Portal/Default.aspx

კონტაქტების მართვა

- განიხილეთ კონტაქტად ყველა, ვინც კი გაიზიარა ჰაერი შემთხვევასთან/დაავადებულთან (გადამდებლობის პერიოდში) ან შემთხვევის ვიზიტიდან 30 წუთის განმავლობაში. ინფიცირებულები გადამდებად ითვლებიან გამონაყარის დაწყებამდე 4 დღის და გამონაყარის დაწყებიდან 4 დღის განმავლობაში.
- დაიწყეთ კონტაქტირებულთა ვაქცინაცია (უკუჩვენების არ არსებობისას) თუ:
- არაა დოკუმენტირებული მტკიცებულება, რომ კონტაქტირებული ვაქცინირებულია წითელას კომპონენტიანი ვაქცინით;
- არ არსებობს სეროლოგიური მტკიცებულება წითელას გადატანის შესახებ.